



საბაკალავრო პროგრამა - სატყეო საქმე სასწავლო კურსების აღწერა

მიმართულების ზოგადი განათლება

მათემატიკა (კალკულუსი)

პრერეკვიზიტი: აზროვნების მათემატიკური წესი

სასწავლო კურსის მიზანია, შეუქმნას სტუდენტებს ის აუცილებელი მათემატიკური საფუძველი, რომელიც საჭიროა მათემატიკის დამატებითი თავების ასათვისებლად და პროფესიული ცოდნის მისაღებად.

მათემატიკა (სტატისტიკა)

პრერეკვიზიტი: მათემატიკა (კალკულუსი)

სტუდენტს გააცნოს სტატისტიკის ძირითადი ცნებები, ის ძირითადი მეთოდები, რომლებიც გამოიყენება სტატისტიკური ამოცანების გადაწყვეტისას. ნათლად დაანახოს სტუდენტს კავშირი სტატისტიკურ მოდელებსა და რეალურ პრაქტიკულ ამოცანებს შორის.

ფიზიკა 1

პრერეკვიზიტი: არ აქვს

ფიზიკის სასწავლო კურსის მიზანია შეუქმნას სტუდენტებს სწორი წარმოდგენა სამყაროში მიმდინარე პროცესებზე და ფიზიკის, როგორც საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფლაგმანის როლზე ამ პროცესების შესწავლის საქმეში. მიაწოდოს სტუდენტებს ძირითადი ფიზიკური სიდიდეების განმარტებები და აუხსნას მათ შორის ურთიერთკავშირები. განუმარტოს ზოგიერთი ფიზიკური სიდიდის მუდმივობის კანონები და მათი კავშირი სივრცე – დროის თვისებებთან. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ფიზიკის კანონების გამოყენების უნარ – ჩვევების ჩამოყალიბებას კონკრეტულ კითხვებზე პასუხის გასაცემად და პრაქტიკული ამოცანების გადასაწყვეტად, რაც მათ გამოადგებათ შემდგომში სპეციალური დისციპლინების შესწავლისას.

ზოგადი ქიმია (თეორიული კურსი)

პრერეკვიზიტი: არ აქვს

ზოგადი ქიმიის ცოდნა დიდ დახმარებას გაუწევს სტუდენტებს ისეთი სპეციალური საგნების შესწავლაში, როგორებიცაა: ბიოქიმია, აგროქიმია, ნიადაგმცოდნეობა, მცენარეთა ფიზიოლოგია, გენეტიკა და სელექცია, საკვების ტექნოლოგიები და ა. შ. ახალი მაღალეფექტური სასუქების წარმოება, მავნებლებთან და მცენარეების დაავადებებთან ბრძოლის მთოდების შემუშავება და დანერგვა, ნიადაგის მახასიათებლების გაუმჯობესება – საკითხთა ის არასრული სიაა, რომელთა წარმატებით გადაჭრაში მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს სტუდენტებს ზოგადი ქიმიის საფუძვლიანი შესწავლა.

ზოგადი ქიმია (ლაბორატორიული კურსი)

პრერეკვიზიტი: არ აქვს

ანალიზური ქიმიის, ორგანული ქიმიის, ფიზიკური ქიმიის, კოლოიდური ქიმიის და აგრეთვე სხვა სპეციალური საგნების პრერეკვიზიტს წარმოადგენს. ზოგადი ქიმიის ცოდნა დიდ დახმარებას გაუწევს სტუდენტებს ისეთი სპეციალური საგნების შესწავლაში, როგორებიცაა: ბიოქიმია, აგროქიმია, ნიადაგმცოდნეობა, მცენარეთა ფიზიოლოგია, გენეტიკა და სელექცია, საკვების ტექნოლოგიები და ა. შ. ახალი მაღალეფექტური სასუქების წარმოება, მავნებლებთან და მცენარეების დაავადებებთან ბრძოლის მთოდების შემუშავება და დანერგვა, ნიადაგის მახასიათებლების გაუმჯობესება – საკითხთა ის არასრული სიაა, რომელთა



წარმატებით გადაჭრაში მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს სტუდენტებს ზოგადი ქიმიის საფუძვლიანი შესწავლა.

ზოგადი ბიოლოგია (თეორიული კურსი)

პრერეკვიზიტი: არ აქვს

ზოგადი ბიოლოგიური განათლების შექმნა. თანამედროვე ბიოლოგიური კვლევი მეთოდების შესწავლის საფუძველზე ექსპერიმენტული აზროვნების და კვლევების ჩატარების წესების დაუფლება.

ზოგადი ბიოლოგია (ლაბორატორიული კურსი)

პრერეკვიზიტი: ზოგადი ბიოლოგია თეორიული კურსი

ლაბორატორიული კურსი მოიცავს ბიოლოგიის ძირითად პრაქტიკულ მეთოდებს. სტუდენტები გაეცნობიან და საკუთარი ხელით გააკეთებენ ყველა ძირითად ექსპერიმენტს, რომელიც ტარდება ბიოლოგიური პროფილის ლაბორატორიებში. შეისწავლება „ექსპერიმენტული აზროვნების წესი“, ექსპერიმენტების კრიტიკული განხილვის გზით.

ეკოლოგია

პრერეკვიზიტი: არ აქვს

საგნის მიზანია

ეკოლოგიის ძირითადი პრინციპების ათვისება. სტუდენტს მისცეს ზოგადი წარმოდგენა ეკოლოგიის მიზნების, ამოცანების, ძირითადი მიმართულების,

ეკოლოგიური ფაქტორების და პოპულაციური ეკოლოგიისა და თანასაზოგადოებათა ეკოლოგიის აქტუალურ პრობლემებზე.

მიმართულების საბაზო განათლება

მიკრობიოლოგია (ზოგადი)

პრერეკვიზიტი: ზოგადი ბიოლოგია (თეორიული კურსი) ან ბუნებისმეტყველება

კურსის შესწავლის მიზანია მიკრობიოლოგიის საგნის არსის გადაცემა, სასარგებლო და მავნე მიკროორგანიზმების როლის გაცნობა ბუნებაში, ცხოველებისა და მცენარეების ცხოვრებაში. სასარგებლო მიკროორგანიზმების გამოყენება ტექნოლოგიურ პროცესებში, ნიადაგის ბაქტერიული სასუქებით გამდიდრებასა და მოსავლის გაზრდაში. მისცეს ცოდნა მიკრობთა გავრცელებაზე ბუნებაში, მიკრობთა ცვალებადობაზე და მის მართვაზე, ინფექციური აგენტის მცნებაზე, ორგანიზმის აუთვისებლობასა და გადამდები დაავადებებისაგან ცხოველების, ადამიანისა და მცენარეების დაცვაზე.

თანამედროვე ბიოტექნოლოგიის საფუძვლები

პრერეკვიზიტი: ზოგადი ბიოქიმია ან მიკრობიოლოგია

სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტს მიეცეს ცოდნა შემდეგ მიმართულებებით: კლასიკური და თანამედროვე ბიოტექნოლოგიის განმარტება და განსხვავება. ბიოტექნოლოგიის ძირითადი ინსტრუმენტების პოტენციალის ჩამოყალიბება. მიკრობიოლოგიური სინთეზის და მცენარეთა ბიოტექნოლოგიის როგორც სტრატეგიულად ძირითადი მიმართულების განსზღვრა. ბიოტექნოლოგიის სუბსტრატების (და მათ შორის აგრარული ნარჩენების) ცხოველების საკვებ პროდუქტებად, ბიოსაწვავად, ბიოსასუქებად და სხვა ღირებულ პროდუქტებად კონვერსიის შესაძლებლობების ანალიზი. ბიოენერგეტიკა. გენური ინჟინერიის დიაპაზონი და მიზანშეწონილობა. გენმოდიფიცირებული ორგანიზმები და გენმოდიფიცირებული საკვები, ბიოუსფრთხოება. ფერმენტების როლი ბიოტექნოლოგიაში. მეორეული მეტაბოლიტების ბიოტექნოლოგია. ეკოლოგიური ბიოტექნოლოგიის საფუძვლები.



ქიმიის ლაბორატორიული პრაქტიკუმი

პრერეკვიზიტი: ზოგადი ქიმია (თეორიული ან ლაბორატორიული კურსი)

კურსის ამოცანაა ლაბორატორიაში მუშაობის პრაქტიკული ჩვევების გამომუშავება და ანალიზური ქიმიის, როგორც ნივთიერებების შედგენილობის კვლევის ძირითადი არსენალის მეთოდების შესწავლა.

ზოგადი ბიოქიმია

პრერეკვიზიტი- ორგანული ქიმია 1 (თეორიული კურსი), ზოგადი ბიოლოგია (თეორიული კურსი)

მიზანია შეისწავლოს და შეიცნოს ცოცხალი ორგანიზმების სიცოცხლის არსი, მათი ფიზიოლოგიური და პათოლოგიური გამოვლინების ბიოქიმიური საწყისები, ნივთიერებათა ცვლა (მეტაბოლიზმი), ენერგიის წარმოქმნა-ტრანსფორმაცია, რეგულაციის გზები, სიცოცხლის ძირითადი პრინციპებისა და მოვლენების (ჩასახვის, ზრდის, განვითარების, გამრავლების, ნაყოფიერებისა და პროდუქტიულობის) ბიოქიმიური საფუძვლები.

ორგანული ქიმია 1 (თეორიული კურსი)

პრერეკვიზიტები- ზოგადი ქიმია (თეორიული ან ლაბორატორიული კურსი)

ქიმიის მიმართ ტერმინი „ორგანული“, იმ პერიოდისათვის როდესაც ფრიდრიხ ველერი მოღვაწეობდა „ცოცხალს“ ნიშნავდა. იმ დროისათვის ორგანულ ქიმიას საქმე ჰქონდა ნივთიერებებთან, რომლებსაც ცოცხალი ორგანიზმებიდან გამოყოფდნენ. 1828 წელს ველერმა დაამსხვრია წარმოდგენები ე.წ. „სასიცოცხლო ძალის“ შესახებ დაამტკიცა რა, რომ შარდოვანას მიღება შესაძლებელია ლაბორატორიაში ამონიუმის ციანატის არაორგანული მარილის გაცხელებით. შემდგომში ტერმინმა - ორგანული ქიმია, თანდათან მიიღო ნახშირბადის ქიმიის მნიშვნელობა. განვითარების მიხედვით ნახშირბადის ქიმიამ ბევრად მოიტოვა უკან ყველა სხვა ელემენტის ქიმია. დღეისათვის მსოფლიოში დარეგისტრირებული 10 მილიონზე მეტი ნაერთიდან, 9,5 მილიონზე მეტი - ორგანული ნაერთია. ნახშირბადის ნაერთთა ასეთი სიმრავლე იმით არის განპირობებული, რომ ნახშირბადის ატომებს, ყველა სხვა ელემენტზე მეტად აქვთ გამოხატული უნარი შეუკავშირდნენ ერთმანეთს და წარმოქმნან სწორხაზოვანი და განშტოებული სტრუქტურები.

ორგანული ქიმია 1 (ლაბორატორიული კურსი)

პრერეკვიზიტები: ზოგადი ქიმია (თეორიული ან ლაბორატორიული კურსი)

ორგანული ქიმიის ლაბორატორიული კურსი მოიცავს ორგანული ნაერთების სინთეზს, მათ თვისებით და რაოდენობრივ ანალიზს. ამოცანები შედგენილია თეორიული კურსის შესაბამისად.



სატყეო საქმის ძირითადი განათლება

საინჟინრო გრაფიკა 1

პრერეკვიზიტი არ აქვს

საინჟინრო გრაფიკა ხელს უწყობს ინჟინრული აზროვნების განვითარებას, აყალიბებს ხედვის, შედარების, დაკვირვების, ანალიზის და სინთეზის უნარს. ნახაზების შედგენასა და კითხვაში ვარჯიშის შედეგად ვითარდება სივრცითი წარმოდგენის და წარმოსახვის უნარი. ანვითარებს თვალზომას, სიზუსტესა და სიმეტრიის გრძობას, რაც საჭიროა ინჟინერიაში მომუშავე ნებისმიერი სპეციალისტისთვის.

კურსის მიზანია კონსტრუქციული გეომეტრიის საფუძვლების შესწავლა. იგი ასევე შეისწავლის გამოსახულებათა განლაგების სისტემებს, ძირითად ხედებს, ნახაზების შედგენისა და წაკითხვის ჩვევებს. კურსის მიხედვით ხდება შესაბამისი ნორმალებისა და სტანდარტების გაცნობა.

საინჟინრო გეოდეზია

პრერეკვიზიტი საინჟინრო გრაფიკა 1

კურსი ითვალისწინებს ტოპო-გეოდეზიური სამუშაოებისა და მათ მნიშვნელობის გაცნობას, ტოპოგრაფიული რუკებისა და გეგმების წაკითხვას და მათზე მუშაობას, გეოდეზიური იარაღებით მუშაობას; გეგმაზე და ნატურაში ტრასის მიმართულების გამოტანას, ტრასის ქანობის განსაზღვრას და მოცემული ქანობით ტრასირებას; მარტივი ტოპოგრაფიული გეგმის დახაზვას და გეგმებზე მუშაობას; პროფილის აგებას (კამერალურად და ნიველოზის მასალის მიხედვით).

სტუდენტს შეუქმნას წარმოდგენა ტოპო-გეოდეზიური სამუშაოების მნიშვნელობაზე და ამ სამუშაოთა ჩასატარებლად გამოყენებულ იარაღებზე; გამოუმუშაოს ტოპოგრაფიული რუკებისა და გეგმების წაკითხვისა და მათზე მუშაობის უნარ-ჩვევები.

ზოგადი ენტომოლოგია

პრერეკვიზიტი-ბუნებისმეტყველება ან ზოგადი ბიოლოგია(თეორიული კურსი)

შეასწავლოს ბაკალავრიატის სტუდენტებს მცენარეთა მავნებლების დამახასიათებელი ნიშნები, ბიოეკოლოგიური თავისებურებანი, ფილოგენეზი, ადგილი სისტემატიკაში, მავნე და სასარგებლო სახეობების იდენტიფიცირების მეთოდები. მწერების გარეგანი მორფოლოგიის, ანატომია-ფიზიოლოგიის, ბიოლოგიური და ეკოლოგიური თავისებურებების, სისტემატიკა-კლასიფიკაციის, ფილოგენეზის, სახეობათა მრავალფეროვნებისა და იდენტიფიცირების, სასარგებლო და მავნე მწერების, მათი რიცხოვნობის პროგნოზირებისა და პრაქტიკაში ეფექტურად გამოყენების, მავნე სახეობათა მავნეობის მაჩვენებლების მინიმუმამდე შემცირების ღონისძიებების შესახებ. ამასთან, სრული კურსის მოსმენის შემდეგ სტუდენტი ღრმად იყოს დაუფლებული სასარგებლო ფაუნის (ბიოაგენტების) შენარჩუნებისა და მავნებლების რეგულირების ეკოლოგიურად უსაფრთხო ბრძოლის ღონისძიებების გამოყენების სტრატეგიასა და ტაქტიკას.

კერძო ენტომოლოგია (სატყეო)

პრერეკვიზიტი ზოგადი ენტომოლოგია

კურსის ფარგლებში სატყეო საქმის სპეციალობის სტუდენტები გაეცნობიან ძირითადი ტყის მერქნიან სახეობათა მავნებლებს. მათ ადგილს ცხოველთა სისტემაში, განვითარების თავისებურებებს, დაზიანების სიმპტომებს, მავნეობას და ბრძოლის ღონისძიებებს.კურსის მიზანია შეასწავლოს ბაკალავრიატის სტუდენტებს მერქნიან მცენარეთა ძირითადი მავნებლების

დამახასიათებელი მორფოლოგიური ნიშნები, რის საფუძველზეც მოხდება სახეობის იდენტიფიკაცია. ბიოეკოლოგიური თავისებურებანი, ანატომია-ფიზიოლოგია, მავნე სახეობების წინააღმდეგ ეკოლოგიურად



უსაფრთხო ბრძოლის ღონისძიებები და პრაქტიკაში მათი გამოყენების დაგეგმვა-განხორციელება.

ფიტოპათოლოგია

პრერეკვიზიტი-ბუნებისმეტყველება ან ზოგადი ბიოლოგია (თეორიული კურსი)

სატყეო ფიტოპათოლოგიის სასწავლო კურსის მიზანია, სტუდენტს შეასწავლოს მცენარეთა დაავადებების სიმპტომები, მათი გამომწვევი მიზეზები, ინფექციის საფეხურები, გამძლეობა, ტყის და დეკორატიულ მცენარეთა ძირითადი წარმომადგენლების ცალკეული დაავადებები, მათი ხელშემწყობი პირობები და ბრძოლის ღონისძიებები.

მცენარეთა ბიოლოგია (თეორიული კურსი)

პრერეკვიზიტი ზოგადი ბიოლოგია (თეორიული კურსი)

კურსის ფარგლებში სტუდენტები გაეცნობიან მცენარის ორგანოების მორფოლოგიურ, ანატომიურ, ციტოლოგიურ და ფუნქციონალურ თავისებურებებს; მცენარეთა ძირითად სისტემატიკურ ჯგუფებს, ევოლუციის მიმართულებებს, მცენარის როლს ბიოსფეროსა და ადამიანის ცხოვრებაში. კურსის მიზანია მომავალმა სპეციალისტებმა შეისწავლონ მცენარის სტრუქტურა და ფუნქციები, გაეცნონ ძირითად ტაქსონომიურ ერთეულებს, მცენარეთა მნიშვნელობას ბიოსფეროსა და ადამიანის ცხოვრებაში, მცენარეთა ევოლუციისა და სისტემატიკის საკვანძო საკითხებს.

მცენარეთა ბიოლოგია (ლაბორატორიული კურსი)

პრერეკვიზიტი მცენარეთა ბიოლოგია (თეორიული კურსი)

კურსის მიზანია ექსპერიმენტების და პრაქტიკული სამუშაოების საშუალებით მომავალმა სპეციალისტებმა გაიღრმავონ თეორიული კურსის ფარგლებში მიღებული ცოდნა. ლაბორატორიული სამუშაოები საშუალებას მისცემს სტუდენტებს შეისწავლონ მცენარის ფესვის, ღეროს, ფოთლის, ყვავილის და ნაყოფის ანატომიური და ფუნქციური თავისებურებები, პრაქტიკულად დაეუფლონ სისტემატიკის ძირითადი ინდიკატორების გამოყენებით მცენარეთა რკვევის და ჰერბარიუმის დამზადების წესებს.

ნიადაგმცოდნეობა

პრერეკვიზიტი-არ აქვს

კურსის მიზანია მომავალ სპეციალისტებს გაეცნოს ზოგადი ნიადაგმცოდნეობის ასპექტები, მათ შორის ნიადაგწარმოქმნის პროცესის საერთო სქემა, ნიადაგწარმოქმნის ფაქტორები, ნიადაგების შედგენილობა, თვისებები და რეჟიმები, ნიადაგების გენეზისი, კლასიფიკაცია, გეოგრაფია და გამოყენება

აგროქიმია

პრერეკვიზიტი- ნიდგმცოდნეობა.

შეასწავლოს ბაკალავრიატის სტუდენტებს მცენარის კვებისა და მისი დიაგნოსტიკის საკითხები. ნიადაგის თვისებების ცვლილება სასუქების გამოყენებით. მინერალური და ორგანული სასუქების მიღება, წარმოება, დახასიათება და გამოყენება. სასოფლო-სამეურნეო კულტურების განოყიერების სისტემის შედგენისა და პროდუქციის ხარისხის მართვის პრინციპები.

გეოინფორმაციული სისტემები

პრერეკვიზიტი-არ აქვს.

კურსის მიზანია სტუდენტებისთვის გეოინფორმაციული სისტემების შესაძლებლობების და მისი გამოყენების არეალის გაცნობა და სტანდარტული გის პროგრამული პროდუქტის ძირითადი ოპერაციების სწავლება, რაც



საშუალებას მისცემთ მსმენელებს ისარგებლონ გის-ის ციფრული კარტირების, სივრცითი ინფორმაციების მართვის და ანალიზის ფართო შესაძლებლობები სასწავლო, საწარმოო თუ სამეცნიერო მიზნებისთვის.

მცენარეთა გენეტიკა

პრერეკვიზიტი- ბუნებისმეტყველება ან ზოგადი ბიოლოგია(თეორიული კურსი)

სტუდენტი დაეუფლოს ზოგადი გენეტიკის ფუნდამენტალურ პრობლემებში თეორიული და პრაქტიკული საკითხების სიღრმისეულ ცოდნას. გენეტიკის ძირითადი დებულებების, მემკვიდრეობისა და ცვალებადობის კანონზომიერებებს, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტს გენების მართვა გამოიყენოს სელექციაში – ახალი ჯიშების მისაღებად.

ლანდშაფტის დაგეგმარება და დიზაინი

პრერეკვიზიტი-არ აქვს.

სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტს შეასწავლოს: ისტორიულ და თანამედროვე საბალო-საპარკო მშენებლობის არსებული საერთაშორისო და სამამულო პრაქტიკა; სხვადასხვა დანიშნულების გამწვანების სახეები; გამწვანებული ტერიტორიების დაგეგმარება - დაპროექტების ძირითადი ხერხები და პრინციპები; საბალო-საპარკო კომპოზიციის შექმნის ძირითადი თავისებურებები და მისი შემადგენელი ელემენტები; გამწვანების ობიექტებში გამოსაყენებელი მცირე არქიტექტურული ფორმები მათი ძირითადი ჯგუფები, სახეები და დანიშნულება.

მიწათმოქმედების საფუძვლები

პრერეკვიზიტი-ნიადაგმცოდნეობა.

სასწავლო კურსის მიზანია გააცნოს სტუდენტს ნიადაგის მექანიკური დამუშავების, სარეველების წინააღმდეგ ბრძოლის, ნათესების სტრუქტურის შედგენისა და სხვადასხვა აგრომელიორაციური ღონისძიებების თანამედროვე მეთოდები, რაც მომავალ აგრონომს დაეხმარება მეურნეობებში მდგრადი საწარმოო პროცესის ორგანიზებაში.

მცენარეთა სელექცია

პრერეკვიზიტი- მცენარეთა გენეტიკა.

მცენარეთა სელექციის სასწავლო კურსის მიზანია შეასწავლოს სტუდენტს თვითმტვერია, ჯვარედინმტვერია, კლონური და ჰიბრიდული ჯიშების გაუმჯობესების მეთოდები და მათ საფუძვლად არსებული გენეტიკური კანონზომიერებები

აგრომეტყვეობა

პრერეკვიზიტი არ აქვს

აგრომეტყვეობის ობიექტს წარმოადგენს აგროლანდშაფტი, რომლის დანიშნულებაც სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მდგრადი და მაღალი მოსავლის უზრუნველყოფა ადგილმდებარეობის ნიადაგურ-კლიმატური პირობების გაუმჯობესებით, მიწისა და წყლის რაციონალური გამოყენებით, ფლორისა და ფაუნის გამდიდრებით. კურსის შესწავლის მიზანია მომავალ სპეციალისტებს მისცეს ცოდნა აგრომეტყვეობის სხვადასხვა მიმართულების შესახებ, რათა მათ შეძლონ ქარსაფრების, ტყის სახეობების, პლანტაციების, ბუფერული ზონებისა და სხვა გაშენების ტექნოლოგიების გამოყენება, მდგრადი მიწათსარგებლობის პრინციპების გათვალისწინებით



კონცენტრაცია-სატყეო საქმე

დენდროლოგია 1

პრერეკვიზიტი- მცენარეთა ბიოლოგია (თეორიული კურსი) ან ზოგადი ბიოლოგია

სასწავლო კურსის შესწავლისას სტუდენტები დაეუფლებიან საქართველოში ბუნებრივად გავრცელებული მერქნიანი მცენარეების სისტემატიკას, მორფოლოგიასა და ეკოლოგიას, კლიმატური, ედაფური, ბიოტური და ოროგრაფიული ფაქტორების გავლენას ტყემცენარეულობაზე, ამასთანავე დისციპლინის მიზანია საქართველოში ინტროდუცირებული მერქნიანი მცენარეების შესწავლა, რაც მომავალ მეტყევე სპეციალისტებს გაუადვილებს მწვანე მშენებლობის სფეროში აღნიშნული მცენარეების ფართოდ გამოყენებას.

დენდროლოგია 2

პრერეკვიზიტი- მცენარეთა ბიოლოგია (თეორიული კურსი) ან ზოგადი ბიოლოგია

სასწავლო კურსის შესწავლისას სტუდენტები დაეუფლებიან საქართველოში ბუნებრივად გავრცელებული მერქნიანი მცენარეების სისტემატიკას, მორფოლოგიასა და ეკოლოგიას, კლიმატური, ედაფური, ბიოტური და ოროგრაფიული ფაქტორების გავლენას ტყემცენარეულობაზე, ამასთანავე დისციპლინის მიზანია საქართველოში ინტროდუცირებული მერქნიანი მცენარეების შესწავლა, რაც მომავალ მეტყევე სპეციალისტებს გაუადვილებს მწვანე მშენებლობის სფეროში აღნიშნული მცენარეების ფართოდ გამოყენებას.

ტყეთმცოდნეობა და მეტყევეობა

პრერეკვიზიტი-არ აქვს.

კურსის შესწავლის მიზანია სტუდენტს მისცეს ცოდნა ტყის ეკოსისტემების შესახებ, ტყის ზრდის, განვითარებისა და გავრცელების კანონზომიერებებზე, ტყისა და კლიმატური ფაქტორების ურთიერთდამოკიდებულებაზე, ტყის ფუნქციასა და მნიშვნელობაზე, ტყის ბუნებრივ განახლებაზე; ტყის ტიპოლოგიასა და სახეობათა ცვლის პროცესებზე. სტუდენტმა იცოდეს ტყეში მეურნეობის სწორად წარმართის პროცესები, კერძოდ მთავარი სარგებლობისა და მოვლითი ჭრის სისტემები, მათი გამოყენება საქართველოს ტყეებში ტყის ტიპებისა და სახეობების ბიოეკოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით, ტყეკავის გაწმენდის მეთოდები, ტყის ხანძრები და მათთან ბრძოლის ღონისძიებები.

დაცული ტერიტორიები

პრერეკვიზიტი-არ აქვს.

სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტებში დაცული ტერიტორიების მნიშვნელობის, ბუნებრივი პროცესების უწყვეტი განვითარების უზრუნველყოფის და რესურსების მდგარდი მართვის შესახებ ხედვის ჩამოყალიბება.

ხე-ტყის დამზადების ტექნოლოგია

პრერეკვიზიტი-ტყეთმცოდნეობა და მეტყევეობა

დისციპლინის შესწავლის ძირითადი მიზანია სატყეო დარგის სპეციალისტის მომზადება, რომელსაც ექნება ცოდნა ტყეთსარგებლობის, კერძოდ ხე-ტყის დამზადების სფეროში და უნარი გამოიყენოს იგი მაღალი ეფექტიანობით პრაქტიკულ საქმიანობაში.

საგნის შესწავლისას სტუდენტი იღებს ცოდნას ხე-ტყის დამზადების წარმოებისათვის არსებულ თანამედროვე მანქანებისა და მოწყობილობების შესახებ, აგრეთვე ტექნოლოგიურ პროცესებზე, რომლებიც ხორციელდება ტყეკავებზე ხის მოჭრის, დამორვის, მორთვეის, დატვირთვისა და გამოზიდვისას, სამი უმთავრესი პირობის: ეკოლოგიური, ეკონომიკური და შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფითა და დაცვით.



ტყის გაშენება

პრერეკვიზიტი- დენდროლოგია 1, 2.

კურსის შესწავლის მიზანია სტუდენტი დაეუფლოს ტყის გაშენების ძირითად პრინციპებს და ტყის მეურნეობის წარმოებას ტყის გაშენების გზით, ტყის რესურსების უწყვეტი კვლავწარმოების პრინციპებს, რაც კომპლექსურ ხასიათს ატარებს და დაკავშირებულია, ერთი მხრივ, გასაშენებელი ფართობების კატეგორიაზე, მეორე მხრივ, კონკრეტულ ბუნებრივ-კლიმატიურ პირობებში მცენარის ნორმალური ზრდა-განვითარების შესაძლებლობაზე; შესაბამისი მოვლის ჩატარების უზრუნველყოფით.

მერქანმცოდნეობა

პრერეკვიზიტი- დენდროლოგია 1, 2.

დისციპლინის ძირითადი მიზანია მერქნის აღნაგობის შესწავლა, რომლებიც აფორმირებენ სატყეო და სამომხმარებლო თვისებებს. აგრეთვე სატყეო საქონლის სტანდარტიზაციას, მერქნული ნედლეულის კვალიმეტრიას და პროდუქციის ხარისხის მართვის საფუძვლების დაუფლება.

სტუდენტს გამოუმუშავდეს სატყეო საქონლის სამომხმარებლო თვისებების განსაზღვრის უნარ-ჩვევები, რომელიც აუცილებელია ძირითადი ტყეთწარმომქმნელი სახეობების მერქნიდან წარმოებული პროდუქციის ხარისხის ასამაღლებლად და დამზადებული ხე-ტყის რაციონალური გამოყენებისათვის.

დენდრომეტრია 1

პრერეკვიზიტი- ტყეთმცოდნეობა და მეტყევეობა

საგნის სწავლების მიზანს წარმოადგენს სტუდენტი დაეუფლოს სატყეო საქმის ერთ-ერთი ძირითადი საფუძვლის - სატყეო ტაქსაციის თანამედროვე მეთოდებს, რომლებიც შემუშავებულია, როგორც ქართველ მეცნიერ-ტაქსატორთა, ისე საზღვარგარეთის ამ დარგის მკვლევართა მიერ, რაც შემდეგით გამოიხატება: სატყეო ფონდის ცნობაში მოყვანა, მისი სისტემატური აღრიცხვა, ტყეების ყოველმხრივი შესწავლა და სათანადო სატყეო ღონისძიებებისათვის შესაბამისი მონაცემებით უზრუნველყოფა.

ტყის მართვა

პრერეკვიზიტი-დენდრომეტრია

ტყეთმოწყობის მიზნებსა და ამოცანებს წარმოადგენს ტყის ფონდის ორგანიზაციის აღწერა, აღრიცხვა-შესწავლა და სატყეო მეურნეობის გამდლოის პერსპექტიული პერიოდისთვის დამუშავება, განსაზღვრავს ტყის რესურსები სეფექტიურად გამოყენებისა და კვლავწარმოების ძირითად წესებსა და მეთოდებს, ადგენს ტყის ჭრი სხნოვანებას, მერქნით სარგებლობის წლიურ ოდენობას, ტყის მოვლითი ჭრის, ტყის აღდგენისა და სხვა ღონისძიებათა განსახორციელებელ მეთოდებს და გვისახავს მეცნიერულად დასაბუთებულ რეკომენდაციებს.

ხის დამუშავების ტექნოლოგია

პრერეკვიზიტი-არ აქვს

ხის დამუშავების ტექნოლოგიის კურსი მიზნად ისახავს სტუდენტებს შეასწავლოს: ხის დამუშავების ისტორია, ხის დამუშავების საფუძვლები, სადურგლო საქმე, მერქნის მექანიკური, აბრაზიული და საფინიშო დამუშავება. მერქნული და საინჟინრო მერქნული მასალები, ხის დამუშავების ძირითადი უნარ-ჩვევები და ავეჯის



დამზადების ძირითადი ელემენტები. სრულად შეასწავლოს მერქნული მასალების ტექნოლოგია და მათი კომპლექსური გამოყენების სფეროები.

ურბანული გამწვანება

პრერეკვიზიტი -არ აქვს

თანამედროვე რეალობიდან გამომდინარე მსოფლიოს ქალაქები ძალიან დიდი ძალისხმევით როგორც სამთავრობო, ისე მუნიციპალურ დონეზე, საკანონმდებლო ცვლილებებით და რესურსების მობილიზაციით ცდილობენ გაუმკლავდნენ მზარდ გამოწვევებს ურბანული გამწვანების და ურბანული ტყეების მართვის მიმართულებით. ურბანიზაცია ძალიან მზარდია მთელი მსოფლიოს მასშტაბით, შესაბამისად იზრდება მოთხოვნა ისეთი თანამედროვე ინტერდისციპლინარული დარგის ექსპერტებზე, როგორებიც არიან ურბანული მეტყვეობის და ურბანული გამწვანების სპეციალისტები, რომლებსაც ექნებათ სწორი ხედვა მწვანე ინფრასტრუქტურის მართვის მიმართულებით და კომპლექსური პრობლემებიდან გამომდინარე სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარი. გამომდინარე აქედან მიღებული ცოდნა სტუდენტს დაეხმარება, მწვანე ინფრასტრუქტურის შექმნასა და განვითარების პროცესში საქმიანობის სწორად დაგეგმარებაში და არსებული გამოწვევების მდგრადი მართვის პრინციპებით გადაჭრაში.

ტყის და დეკორატიულ მცენარეთა სანერგე

პრერეკვიზიტი-არ აქვს

მოცემული კურსი წარმოადგენს აძლევს სტუდენტს სხვადასხვა ტიპის სანერგეში დეკორატიული მცენარეებისა და ტყის კულტურების მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიაზე. სტუდენტს ეცოდინება სანერგეების ტიპები, დახურული გრუნტის თავისებურებები და თეორიული და პრაქტიკული ცოდნის საფუძველზე შეძლებს სანერგის და სათბურის დაგეგმვას და სწორად ორგანიზებას. სათბურის თავისებურებებიდან გამომდინარე, სტუდენტს შეეძლება განსაზღვროს სანერგის და სათბურის ტიპი, განსაზღვროს ნიადაგურ-კლიმატური

ხის დამუშავების საწარმოთა პროექტირება

პრერეკვიზიტი-საინჟინრო გრაფიკა 1

ხის დამუშავების საწარმოთა პროექტირების კურსი (იგულისხმება ასევე ავეჯის საწარმოებიც) მოიცავს ხის დამუშავების საწარმოთა პროექტირების თეორიულ და პრაქტიკულ საფუძველებს, პროექტირების CAD პროგრამებს, საწარმოთა სიმძლავრეების და მათი წარმადობის გათვლას. სწავლის მიზანს წარმოადგენს სტუდენტს შეასწავლოს ხის დამუშავების საწარმოთა პროექტირების ზოგადი დებულებები, ხის მრეწველობის ძირითადი ტიპის საპროექტო სამუშაოები. დასაპროექტებელი საწარმოს ტექნოლოგიური სქემების შედგენის მეთოდები, ტექნო-ეკონომიკურ დასაბუთება და საპროექტო დოკუმენტაციის შემუშავება, თანამედროვე ხის დასამუშავებელი კომპანიების მენეჯმენტი



არჩევით საგნები

სამონადირეო მეურნეობის დაგეგმვა და ორგანიზაცია

პრერეკვიზიტი-არ აქვს.

სასწავლო კურსის მიზანს წარმოადგენს: სატყეო ფაკულტეტის ბაკალავრებს შევასწავლოთ სამონადირეო მეურნეობების დაგეგმვის, ორგანიზაციის და მართვის მეთოდები; სამონადირეო მეურნეობების მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკაში (სამონადირეო და ეკოტურიზმის განვითარებაში); განვიხილოთ საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე გავრცელებული ფაუნის წარმომადგენლები; საქართველოს სახელმწიფო წითელ წიგნში შეყვანილი სახეობები; გავაცნოთ საქართველოს სამონადირეო ფაუნის წარმომადგენლები; შევასწავლოთ სამონადირეო ფაუნის, აგრეთვე იშვიათი და გადაშენების ზღვარზე მყოფი ცხოველების დაცვა, აღდგენა, მოშენება და შემდგომი მიზანმიმართული ექსპლუატაცია; სამონადირეო კინოლოგია და მის წინაშე არსებული პრობლემები. აგრეთვე მათი აღმოფხვრის ღონისძიებები; სამონადირეო მეურნეობების აღჭურვილობები.

ბუნებათსარგებლობის ეკონომიკური საფუძველი

პრერეკვიზიტი- არ აქვს

სასწავლო კურსის მიზანია, ბუნებათსარგებლობის ძირითადი პრინციპებისა და თეორიების შესწავლით, ეკონომიკური ლოგიკისა და ემპირიული ანალიზის მეთოდების გამოყენებით, მომავალ სპეციალისტები უზრუნველყოს პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენებადი შესაბამისი ცოდნითა და უნარ-ჩვევებით.

ზოოლოგია

პრერეკვიზიტი-ზოგადი ბიოლოგია (თეორიული კურსი)

ზოოლოგიის სწავლების მიზანია შევასწავლოთ სტუდენტებს ცხოველთა სამყარო, ვაჩვენოთ მათი ადგილი ბუნებაში, მორფოლოგია, ფიზიოლოგია, განვითარების თავისებურებანი, ცხოვრების წირი, ეკოსისტემებთან დამოკიდებულება; განვიხილოთ ისინი ევოლუციის სხვადასხვა ეტაპზე.

მწერების მრავალფეროვნება და მნიშვნელობა

პრერეკვიზიტი-არ აქვს

კურსის მიზანია ბაკალავრიატის სტუდენტებს შევასწავლოთ მწერების მრავალფეროვნება, მისი მნიშვნელობა ეკოსისტემებისათვის და კვლევის მეთოდები. კურსის განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მწერების როლს ადამიანის ცხოვრებაში, კერძოდ მათ მნიშვნელობას დამტვერვაში, დაავადებების გავრცელებაში, კრიმინალური საქმეების გამოძიებაში, გენეტიკურ კვლევებში და ა.შ.

კინოლოგია-ფელინოლოგია

პრერეკვიზიტი-არ აქვს

კინოლოგია-ფელინოლოგიის სასწავლო კურსის მიზანს წარმოადგენს ძაღლის და კატის წარმოშობისა და ევოლუციის, კონსტიტუცია – ექსტერიერის, ზრდა – განვითარების, ანატომიურ – ფიზიოლოგიური თავისებურებების, მოვლა – შენახვის სისტემების, ჯიშური მრავალფეროვნების, ძაღლის წვრთნის მეთოდებისა და ნორმირებული კვების თავისებურებების შესწავლა.



მეფუტკრეობა

პრერეკვიზიტი-არ აქვს

სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტს შესძინოს ცოდნა მეთაფლე ფუტკრის ცხოველმყოფელობისა და ეკოლოგიის შესახებ. კურსის ფაგლებში სტუდენტი შეისწავლის მეთაფლია ფუტკრის ანატომიას, ფიზიოლოგიას, ფუტკრის კოლონიის სოციალურ სტრუქტურას, ფუტკრის დაავადებებს, მათი დიაგნოსტიკისა და მკურნალობის კონვენციურ და ალტერნატიულ მეთოდებს.

მეაბრეშუმეობა

პრერეკვიზიტი-არ აქვს

სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტმა შეისწავლოს მეაბრეშუმეობის როლი და ადგილი ქვეყნის ეკონომიკაში, მეაბრეშუმეობის თანამედროვე მდგომარეობა მსოფლიოში, თუთის და თუთის აბრეშუმხვევიას ეკოლოგია, ცხოველმყოფელობის და პროდუქტიულობის ამალეების თანამედროვე ტექნოლოგიები, დაავადებები და მათი პროფილქტიკა, აბრეშუმის პარკის მოყვანა, შენახვა, პირველადი დამუშავება.

პრაქტიკული განათლება

საველე პრაქტიკა

საველე პრაქტიკა არის უნივერსიტეტის სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილი, რომელიც სტუდენტათვის სავალდებულოა. პრაქტიკის გავლა მოიცავს სტუდენტთა ჯგუფების გამგზავრებას პრაქტიკის ადგილზე. პრაქტიკის დაწყებამდე, სტუდენტთა ჯგუფებს შორის ხდება ამოცანების გადანაწილება. შესაბამისად, პრაქტიკის მსვლელობისას, ამ ამოცანებიდან გამომდინარე, მიმდინარეობს კონკრეტული აქტივობების განხორციელება. აქტივობები მიზნად ისახავს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი და შემეცნებითი მიზნების მიღწევას. საველე პრაქტიკას უძღვება ჯგუფის კოორდინატორი. პრაქტიკა შესაძლებელია იყოს ანაზღაურებადი.

მუშაობა ორგანიზაციაში

სტუდენტებში განავითაროს, საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, მიღებული თეორიული ცოდნის კონკრეტულ სიტუაციაში გამოყენების პრაქტიკული უნარ-ჩვევები; ხელი შეუწყოს სამუშაო გარემოში სტუდენტების ადაპტაციას; წარმოებაში არსებული მოწინავე ტექნოლოგიების ათვისება;

ტყის კორომებში ჩაატარებენ სატაქსაციო აღრიცხვა- შეფასებას(კორომის ფორმა, შემადგენლობა, სიხშირე, ხნოვანება და ა. შ.) დაადგენენ ტყის რესურსების (მერქნიული და არამერქნიული) მარაგებს, შეისწავლიან ბუნებრივი განახლების მიმდინარეობას, ტყის სანიტარულ მდგომარეობას, არსებობის შემთხვევაში შეაფასებენ ხე-ტყის დამზადების ტექნოლოგიურ პროცესს და ა.შ. შედეგად შეიმუშავენ და წარმოადგენენ ტყის მართვის გეგმას, რომელიც არის სატყეო საქმის სპეციალისტის მომზადების ძირითადი მიზანი.